№2 (278) 24-30. 01. 2003 წელი

# ფანტაზია

ვიყავით და ვართ ერთად!

პარასკევის გამოშვება
გამოდის 1996 წლიდან
ფასი 40 თეთრი

## კროსვორდები და ინტელექტუალური გასართობები



1. ტროას აღმომჩენი კაცი. 2. ერთ-ერთი დედამიწელი მეფე. 3. ქალის დამამშვენებელი მღრღნელი. 4. საზეიმო სამოსის სახესხვაობა. 5. მოლოდინის კონფიგურაცია. 6. შესაფასებელ ნორმათა ერთობლიობა. 7. ვენის მთავარი სტადიონი. 8. აშშ-ს შტატი. 9. პერსონაჟი კარლო საკანდელიძის კინოგალერეიდან. 10. ერთ-ერთი ჯალალ-ედ-დინი. 11. სვეტი გამოქვაბულში. 12. ვიიონიც და რაბლეც. 13. რეფერი ანუ? 14. ინტერნეტის ჭორაობა. 15. შორეული აღმოსავლეთის ებრაული ქალაქი. 16. რა გვაკლია ჩვენ? 17. ხაშურისაც და დმანისისაც. 18. უკბილობა ანუ? 19. თოვლის კაცის სამოსახლო. 20. ძველი თბილისის უბანი. 21. ჩვენი ესტრადის ქეთა. 22. წახალისების სახესხვაობა. 23. ძალოსნობის ყოფილი ილეთი. 24. ნოველა „ეტრუსკული ლარნაკის“ ავტორი. 25. ქართული გვარი ერთი თანხმოვნით და სამი ხმოვნით. 26. 1979 წლის გმირი თბილისის „დინამოელი“. 27. ცნობილი ახალზელანდიელი მორაგბე, „რაგბის პელე“. 28. ხორვატიის კუთვნილი კუნძული. 29. „ცხელი ათეულის“ გადაცემა პირველ არხზე. 30. (.....) მარია რემარკი. 31. ახლო წარსულის მაღალჩინოსანი ქართველი მოღვაწე. 32. უდიპლომო ბიჭიკოს დედა.

## დღევანდელი ნომრის მთავარი რუბრიკები და პერსონაჟები

ფანტაზიორი
ფანტაზიის
პირისპირ









# კითხვა-პასუხის ბიზნესი

განვლილი შვიდი წლის განმავლობაში გაზეთში წარმოსაჩენად ბევრი სფერო და გართობის მრავალი სფეროები მოვსინჯეთ - ზოგი დავიტოვეთ, ზოგი კი მაშინვე უარვყავით. ასეა! - გაზეთი მრავალფეროვანი უნდა იყოს (ჩვენი აზრით!), თუმცა არის კიდევ ერთი სამოღვაწერო სივრცე, რასაც ნაკლებად ვუწევდით ანაგარიშს განვლილი დროის განმავლობაში, არადა გაზეთი, თავისი პირვანდელ-საწყისი დანიშნულებით სწორედ ამას - ინფორმაციის გავრცელებას - უნდა ემსახურებოდეს.

ამიტომაც!

დღეიდან შეძლებისდაგვარად მიმოვიხილავთ მთელ მსოფლიოში მიმდინარე „კითხვა-პასუხის“ ბიზნესს იმ ფარგლებში, რასაც თვალს და ყურს მივაწვდენთ, უფრო სწორად - რაც ჩვენს თვალსა და ყურს მოსწვდება. ამგვარი საქმიანობის დაწყება კი მართლაც ღირსშესანიშნავი ფაქტით გვსურს, რაც გასულ შაბათს მოხდა რუსეთის „პლეი-ბიზნესში“ (Play - ინგლ. „თამაში“ - რით ჩამოუვარდება ეს ცნება „შოუ-ბიზნესს“?).

* * *

მოგეხსენებათ, სხვა რამდენიმე თამაშის (კითხვა-პასუხის) გვერდით რუსულ ტელესივრცეში არსებობს ჩვენებური „ოცი ათასის“ ანალოგიური გადაცემის ორი ვარიანტი სხვადასხვა არხებზე, ერთი მათგანის წამყვანია დიბროვი, მეორისა კი გალკინი. სწორედ ამ უკანასკნელის „შოუში“ მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა 18 იანვარს, ანუ:

პირველი და საინტერესო ის გახლავთ, რომ გალკინის გადაცემაში ერთდროულად ორი მოთამაშე თამაშობს, უფრო სწორად ორი ახლობელი ადამიანი (დედა-შვილი, და-ძმა, ცოლ-ქმარი და ა.შ.) მონაწილეობს, რომლებსაც თამაშის მსვლელობისას საშუალება აქვთ ერთმანეთთან მსჯელობა გამართონ და ისე უპასუხონ კითხვას, სხვა დანარჩენი კი არაფრით განსხვავდება ჩვენი „დუტა-შოუსაგან“, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით იმას, რომ იქ 20 000 ლარი კი არა, 1 000 000 რუსული რუბლი (დაახლ. 70 000 $) თამაშდება.

ჰოდა:

გასულ შაბათს ცოლ-ქმარი (გვარი ვერ დავიმახსოვრეთ) თამაშობდა. მათ სამი დახმარების დახარჯვის წყალობით 250 000 მოიგეს. ბოლოსწინა კითხვა კი ასეთი იყო:

„რომელი სალექსო ზომით წერდა ნოსტრადამუსი თავის ქმნილებებს?“ ვარიანტები: კატრენი, სონეტი, მადრიგალი, ტერცინა.

ამ კითხვაზე მეუღლეებს ბევრი არ უფიქრიათ, ინიციატივა საკუთარ თავზე ქმარმა აიღო და, არაორაზროვანი კითხვის შემდეგ, რითაც მან ცოლს მიმართა - „ხომ არ გამშორდებიო, ძვირფასო, არასწორი პასუხის შემთხვევაში?“ - პასუხად „კატრენი“ აირჩია და 500 000 მოიგო.

„მილიონიანი“ კითხვა ასე გამოიყურებოდა:

„რომელი საწყისი ფიგურით იწყება ე.წ. „გოროდკის“ თამაში“?

ვარიანტები: Пушка, Пулеметное гнездо, Часовые, Гранатамет

ამ კითხვაზე დიდი მსჯელობა გაიმართა, სადაც კვლავ ქმარმა იყოჩაღა და თვით სერიალი „აბა,დამაცადეც“ (Ну, погоди!) კი გაიხსენა, სადაც ბეჰემოთი „გოროდკის“ თამაშობს და მას ამაში ხელს შეუშლის მგელი. ერთი სიტყვით, მეუღლეებმა გაბედეს, არ აყვნენ ცდუნებას, არ შეწყვიტეს თამაში და... 1 000 000 მილიონი მანეთი მოიგეს. სწორი პასუხი კი Пушка გახლდათ.

...სხვათა შორის, ეს უკვე მეორე შემთხვევაა რუსულ „ოცი ათასში“, როცა მაქსიმალური მოგება თამაშდება. მანამდე ეს ბედნიერება წილად ხვდა მავან სანქტ-პეტერბურგელ ქიმიკოსს (დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ამ ინფრმაციას უფრო ზუსტად გაეცნონ საიტზე www.ways.ru).

* * *

ეს იყო პირველი მცდელობა ჩვენი „ოპერატიულ-ინფორმაციული უნარ-ბიზნესის“ წარმოჩენისა, რასაც აუცილებლად მივცემთ შემდგომ მსვლელობას.

## პოეზიის ზეიმი «პარნასში»!

17 იანვარს, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, №22-ში მდებარე წიგნის მაღაზია „პარნასში“ გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანების კრებულის - „აღმოსავლურ-დასავლური დივანის“ - პრეზენტაცია, სადაც ავტორი შეხვდა მკითხველებს და ქუჩაში გამოტანილი მიკროფონის საშუალებით დაინტერესებულმა პირებმა მოისმინეს ამ წიგნში წარმოდგენილი დიდებული თარგმანების ნიმუშები.

კრებული მართლაც შესანიშნავი საჩუქარია პოეზიის მოყვარულთათვის. გირჩევთ, შეიძინოთ!

# შევინარჩუნოთ კროს-რეიტინგი




***ერთი სწორი პასუხი ერთი ქულაა. პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე***

პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე


1


2

1. აფრიკული ფლორის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 2. ფრიდრიხ შილერის „დონ კარლოსის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ცნობილი ჰერცოგი. 3. იური ოლეშას ზღაპრის თითოეული მთავარი პერსონაჟი. 4. კომიკურ-ირონიული სცენიური ქმნილების სახესხვაობა. 5. ვისკის საწარმოებელი ნედლეული. 6. ქალაქი, სადაც ილფისა და პეტროვის „13 სკამის“ პერპეტიები ვითარდება. 7. 1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. 8. ჩვენს ჩრდილოურ საზღვრებთან მდებარე ისტორიული ძეგლი. 9. იხილეთ ფოტო №1. ვინაა ეს ფრანგი მწერალი? 10. ქალაქი იაპონიაში. 11. იხილეთ ფოტო №2. ვინაა ეს იტალიელი კომპოზიტორი 12. ჰოლივუდის კინოწარმოების ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორი. 13. „ისლამის რუპორი“ (ძალზედ მოგვწონს ეს განმარტება!). 14. ესკიმოსთა საცხოვრებელი. 15. ძალზედ ხშირი და რეგულარული ანუ როგორი? 16. გრძელ მანძილებზე მორბენალი მძლეოსანი. 17. რა ჰქვია, თქვენი აზრით, ამ შრიფტს?

ub.dfhlts thsvfytsd!

18. ძალიან, ძალიან დიდი ძაბრი. 19. რა ეწოდება დახრილ შრიფტს? 20. XX საუკუნის დამლევის ერთ-ერთი დიდი ქართველი სამეურნეო მოღვაწე. 21. სიმძიმეთა ასაწევ-გადასაადგილებელი საშუალება. 22. ვაჟასეული „ყოვლისმცოდნე“ პერსონაჯი. 23. დასახლებული პუნქტის შემადგენელი ნაწილი. 24. ერთ-ერთი ჩვენი უძველესი აკადემია. 25. ჩვენი ცნობილი „კლიპმეიკერი“. 26. ორი არსების ხელისა და სახის უდიერი კონტაქტის სახესხვაობა. 27. შინაურ ცხოველთა გარკვეული ნაწილის გამრავლების პერიოდი. 28. მსოფლიო ფოტოწარმოების ერთ-ერთი ლიდერი. 29. სადაური პოლიციელია ერთ-ერთ ფილმში ლუი დე ფიუნესი. 30. აქლემის პრეროგატივა. 31. ქალი, რომელსაც მაყარი ეალერსებოდა ქორწილში. 32. რა ჰქვია მღვდლის ცოლს?

* * *

1-8 ქულა - დამწყები შემვსებ-მკითხველი „ფანტაზიისა“.

9-16 ქულა - „ისე რა“ შევსება.

17-24 ქულა - ოსტატური შევსების ნიმუში.

25-30 ქულა - (ჩანტლაძის თქმისა არ იყოს) „შაამსებთ“ ჩვენს კროს-ჩემპიონატს?

31-32 ქულა - ბრავო, მაესტრო!

## შორეული ძახილი!

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, ჩემს გვერდითაა ჩემი სტუდენტობის მეგობარი გიორგი ქადაგიშვილი, რომელიც თითქმის 15 წელიწადია არ მენახა.

ჩვენმა მოგონებებმა შექმნა სურვილი ჩვენი ძველი მეგობრების მოძებნისა...

თუ რომელიმე თქვენგანი წაიკითხავს ამ სტრიქონებს, აუცილებლად გამოგვეხმაურეთ.

**ალ. ელერდაშვილი**



140

William Shakespeare (1564-1616) Sonnets

# უილიამ შექსპირი
## სონეტები

**Be wise as thou art cruel; do not press**
**My tongue-tied patience with too much disdain;**
**Lest sorrow lend me words and words express**
**The manner of my pity-wanting pain.**
**If I might teach thee wit, better it were,**
**Though not to love, yet, love, to tell me so;**
**As testy sick men, when their deaths be near,**
**No news but health from their physicians know;**
**For if I should despair, I should grow mad,**
**And in my madness might speak ill of thee:**
**Now this ill-wresting world is grown so bad,**
**Mad slanderers by mad ears believed be,**
**That I may not be so, nor thou belied,**
**Bear thine eyes straight,**
**though thy proud heart go wide.**

**С.Я. МАРШАК**

**Будь так умна, как зла. Не размыкай**
**Зажатых уст моей душевной боли.**
**Не то страданья, хлынув через край,**
**Заговорят внезапно поневоле.**
**Хоть ты меня не любишь, обмани**
**Меня поддельной, мнимою любовью.**
**Кто доживает считанные дни,**
**Ждет от врачей надежды на здоровье.**
**Презреньем ты с ума меня сведешь**
**И вынудишь молчание нарушить.**
**А злоречивый свет любую ложь,**
**Любой безумный бред готов подслушать.**
**Чтоб избежать позорного клейма,**
**Криви душой, а с виду будь пряма!**

**А.М. ФИНКЕЛЬ**

**В жестокости благоразумна будь,**
**Не мучь немого моего терпенья,**
**Не то слова найдут на волю путь**
**И выскажут всю глубину мученья.**
**Не любишь ты - но сделай хоть бы вид,**
**Что ты меня даришь своей любовью.**
**Так на смерть обреченному твердит**
**Разумный врач о жизни и здоровье.**
**В отчаянье придя, сойду с ума,**
**Начну тебя хулить без всякой меры.**
**А свет дурен и - знаешь ты сама -**
**Готов принять злословие на веру.**
**Чтоб избежать зловредной клеветы,**
**Со мною будь, хоть не со мною ты.**

* * *

რა ვერაგიც ხარ, ისეთივე იყავ ჭკვიანი
და ნუ გწადია, ჩემს სატკივარს ახსნა ალვირი,
ნუ მათქმევინებ, რაგინდ იყოს ძალზედ გვიანი,
თუ რა გვალვიან ტრფობაზე ვარ ცრემლად დაღვრილი.
ნუ დაივიწყებ, მოწყალება თუ რამ გებადა,
ნუ გეყვარები, მომეპყარი ოღონდ პატივით...
მე სნეულს ვგავარ, ვინც სიკვდილის გზას მიჰყვება და
მკურნალის რჩევას მაინც ვერ თმობს ანდამატივით.
ნუ გამკიცხავ და სიძულვილს ნუ მისცემ სადავეს,
მე ხომ სიგიჟე ქვეყნად შენგან შემომაყერა,
ბრბოს საამებლად ნუ დაუდებ იმ ჭორს სათავეს,
რომ ჩემს სირცხვილზე ქირქილებდეს მთელი ქვეყანა.
გულს თუ არ მანდობ, თვალი მაინც გამოიმეტე
და ზოგჯერ მაინც თვალთმაქცობით დამაიმედე.

**თარგმნა ალ.ელერდაშვილმა. 22.01.2003.**



**თარაზულად:**

1. კარის საკეტი რაზა. 7. კომედია „ტუტსის“ შემქმნელი ამერიკელი კინორეჟისორი, სიდნი... 10. ქალაქ ვილნიუსის საკალათბურთო გუნდი. 12. ხელის მტევნის შემადგენელი ნაწილიც და ობობისმაგვარი მწერიც. 13. „დანიშნული შეხვედრა“ ფრანგულ ენაზე. 14. როგორი შეიძლება იყოს მთვარე? 15. ვულკანის ყელის ძაბრისებული ჩაღრმავება. 16. რომან „სალამბოს“ შემქმნელი ფრანგი მწერალი. 17. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი, რომელსაც სიბერეში ნობელის პრემია მიანიჭეს მშვიდობის დარგში. 18. ნატურალური კაუჩუკის ვულკანიზაციის შედეგად მიღებული შავი მბზინავი მასალა. 22. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ღირსშესანიშნაობა. 23. არის ასეთი ანეკდოტი ჭიჭიკიაზე, რომელიც პრეზერვატივების ქარხანაში დაიწყებს მუშაობას, ჰოდა რად მუშაობდა ჭიჭიკია იმ ქარხანაში? (ანუ რა იყო?). 26. რა ერქვა დიდ რუს მეცნიერს, გვარად ტიმირიაზევს? 27. წარსულის ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, კევინ... 30. რა ჰქვია იტალიელ კინორეჟისორს, გვარად დე სიკას? 31. ღრიანკალის თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავი. 32. „ნიუკასლ იუნაიტედის“ ინგლისელი ნახევარმცველი. 33. მცენარე, რომლის წვენის ყურში ჩაწვეთებითაც კლავს ჰამლეტის ბიძა, კლავდიუსი, ჰამლეტის მამას (რა თქმა უნდა!) შექსპირის ტრაგედიაში. 34. კარლოს დიდის თანამებრძოლი რაინდი. 38. ისტორიული ოლქი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. 39. ერთგვაროვანი საგნების ან ნივთების საერთო სახელწოდება. 42. ჯაკომო პუჩინის უკანასკნელი ოპერა. 43. ქალაქი გერმანიაში ჩრდილოეთის ზღვის პირას. 45. მუშაობით დაუძლურებული ადამიანის მოსახსენიებელი სიტყვა. 47. რომელი სასცენო ხელოვნება უკავშირდება ჩვენს ცნობიერებაში ამირან შალიკაშვილს? 48. ქალაქი რუსეთში, პორტი მდინარე ვოლგაზე. 49. ქალაქი იტალიაში, კერძოდ კამპანიის ოლქში, სადაც დაბრუნებას „იხვეწებიან“ მავანი და მავანი ტენორები. 50. იგივეა, რაც ათაშანგი, ან ლუესი. 51. ნიდერლანდების სიმბოლოყვავილი.

**შვეულად:**

1. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ ავტორი ძველი ბერძენი დრამატურგი. 2. თანამედროვე ბრიტანელი კუტიურიე. 3. უსინათლო ამერიკელი მომღერალიდა კომპოზიტორი. 4. XX საუკუნის რუსი გამომგონებელი გემთმშენებლობის სფეროში. 5. იდილიური თანაარსებობა, ანუ რა? 6. ციხესიმაგრის ყველაზე გამაგრებული, ცენტრალური ნაწილი. 7. სანთლისმაგვარი თეთრ-მოყვითალო ნივთიერება. 8. ქალაქი აზერბაიჯანში, კასპიისპირა პორტი. 9. ქართველი მწერალი და ლიტერატურული მოღვაწე, ავტორი ტრილოგიისა „ასერგასი დღე“. 11. თავისი ვირით „ცნობილი“ შუა საუკუნეების ფრანგი ფილოსოფოსი-სქოლასტი. 19. ქალაქი იტალიაში, სადაც ევროპაში ყველაზე უძველესი უნივერსიტეტი მდებარეობს. 20. მერცხლის მსგავსი შავი ჩიტი. 21. ნავთობსაზიდი საწყალოსნო ტრანსპორტი. 23. რა შეუძლია მამალს და არ შეუძლია თუნდაც ადამიანს? 24. მღვდელმთმსახურების ერთ-ერთი ფორმა. 25. ჩვენი მწერალი, ავტორი რომანისა „მიმქრალი შარავანდედი“. 27. ჯორჯ ისტმენის მიერ დაარსებული ფოტოკომპანია. 28. რუსი საბავშვო მწერალი, ავტორი „თემური და მისი რაზმისა“. 29. ციტრუსოვანი მცენარე. 34. რუსი ბალეტმეისტერი, მარიუს.. (1818-1910). 35. ნობელის პრემიის ლაურეატი დიდი ჰოლანდიელი ფიზიკოსი, ჰენდრიკ ანტონ... 36. გვარი მეცნიერისა, რომლის გვარიც დაენათლათ ადამიანებს, რომლებიც წითელსა და მწვანეს ერთმანეთში ურევენ . 37. „ახალ ქვის ხანად“ წოდებული ქვის ხანის უკანასკნელი საფეხური. 39. მითოლოგიური მეფე, რომელიც თითქოსდა ხელის მიკარებით ყველაფერს ოქროდ აქცევდა. 40. კოლტის სადგომი „შენობა“. 41. „დიდი ანდერძისა“ და „მცირე ანდერძის“ ავტორი შუა საუკუნეების ფრანგი პოეტი, ფრანსუა.. . 43. ეკვადორის დედაქალაქი. 44. ქალაქი ბელგიაში. 46. ყველაზე ღრმა ტბა საქართველოს ტბებს შორის.

**ასეთი სიხშირის კროსვორდს სხვაგან ვერსად ნახავთ!**
**ხომ გვეთანხმებით?**

# 1910 წელი

**1 იანვარი** - საბერძნეთში სამხედრო ლიგა აიძულებს პარლამენტსა და მეფეს ეროვნული ასამბლეის ჩამოყალიბებას, რათა შეიქმნას 1864 წლისაგან განსხვავებული ახალი კონსტიტუცია.

**15 იანვარი** - საფრანგეთის კონგოს გადაერქვა სახელი და ეწოდა საფრანგეთის ეკვატორიალური აფრიკა.

**20 თებერვალი** - ბუტროს-გალი, ეგვიპტის აბორიგენი მოსახლეობიდან გამოსული პრემიერ-მინისტრი, მოკლულ იქნა ნაციონალისტი სტუდენტის მიერ.

**1 მარტი** - ლუიჯი ლუზატი იტალიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ცვლის ბარონ სონინოს.

**31 მარტი** - საბერძნეთში სამხედრო ლიგა თმობს პოზიციებს და აცხადებს თვითლიკვიდაციას.

**1 აპრილი** - ალბანეთში იფეთქა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა აჯანყებამ, რაც სისხლში იქნა ჩახშობილი თურქების მიერ.

**27 აპრილი** - ლუის ბოტა და ჯეიმზ ჰერცოგი ქმნიან სამხრეთ-აფრიკის პარტიას.

**6 მაისი** - ლონდონში, ბუკინგემის სასახლეში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეფე ედუარდ VII. დიდი ბრიტანეთის ტახტზე ავიდა გეორგ V, რომელმაც 1936 წლამდე იმეფა.

**10 მაისი** - ბრიტანეთში თემთა პალატა იღებს გადაწყვეტილებას, რომ ლორდთა პალატას ეკრძალება ბიუჯეტის მიღების წინააღმდეგობის გაწევა და ვეტოს დადება შეუძლია მხოლოდ გარკვეულ კანონპროექტთა მხოლოდ ნაწილზე.

**24 მაისი** - პაპი პიუს X აქვეყნებს ენციკლიკას, სადაც კიცხავს გერმანელ პროტესტანტებს მათს მიერ ლუთერანობის და რეფორმაციის მიმართ გამოხატული კრიტიკული კომენტარების გამოქვეყნების გამო.

**11 ივნისი** - პაპი პიუს X აქვეყნებს მითითებას გერმანელი ეპისკოპოსების მიმართ, რათა მათ შეწყვიტონ მოღვაწეობა გერმანიაში.

**1 ივლისი** - სამხრეთ აფრიკის კავშირი ხდება დომინიონი.

**4 ივლისი** - რუსეთი და იაპონია დებენ ხელშეკრულებას მანჯურიასა და კორეაში საკუთარი გავლენის გავრცელების შესახებ.

**3 აგვისტო** - ავსტრო-უნგრეთი ხელს აწერენ სერბიასთან სავაჭრო ურთიერთობის ხელშეკრულებას.

**22 აგვისტო** - იაპონია ოფიციალურად ახდენს კორეის ანექსიას.

**1 სექტემბერი** - ჩერნოგორია დამოუკიდებელ მონარქიად ცხადდება.

**15 სექტემბერი** - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარებულ არჩევნებზე სამხრეთ აფრიკის პარტია იმარჯვებს.

**5 ოქტომბერი** - პორტუგალიის მეფე მანუელ II ინგლისში გაურბის აჯანყებულებს და პორტუგალია რესპუბლიკად ცხადდება.

**4 ნოემბერი** - რუსეთის მეფე ნიკოლოზ II გერმანიაში კაიზერ ვილჰელმ II-სთან მოლაპარაკებაზე თმობს პრეტენზიებს ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაზე ჩრდილოეთ ირანში თავისუფალი მოქმედების უფლების მიღების სანაცვლოდ.

**10 ნოემბერი** - მორიგი სამთავრობო კრიზისი დიდ ბრიტანეთში.

**11 დეკემბერი** - საბერძნეთში მიმდინარე არჩევნების შედეგად ეროვნული ასამბლეა იღებს 300 ადგილს 364-დან.

### საზოგადოება, განათლება, რელიგია.

- ინგლისში იხსნება პირველი ბიურო მოსახლეობის შრომითი მოწყობის დასარეგულირებლად.
- აშშ-ში იქმნება ბოისკაუტების ამერიკის ეროვნული ორგანიზაცია და ანალოგიური ორგანიზაცია ქალებისათვის „კემპფაიერ გერლზ“.
- ლონდონში, ვესტმინსტერის სააბატოში ჩატარდა კათოლიკური ეკლესიის მორიგი კათედრალური სხდომა.
- ლონდონში გაზეთმა „თაიმსმა“ დაიწყო საბავშვო ჩანართების გამოშვება.

### მეცნიერება, ტექნიკა, აღმოჩენები.

- მარია სკლოდოვსკაია-კიური საფრანგეთში აქვეყნებს „რადიოგრაფიის ტრაქტატს“.
- აშშ-ში, კალიფორნიის უილსონის მთაზე დაამონტაჟეს 2,54 მეტრიანი სარკისებრი ტელესკოპი.
- ამერიკელი ფიზიკოსი რობერტ მილიკენი ადგენს ელექტრონის მუხტის რიცხვით მნიშვნელობას.

### ხელოვნება

*ლონდონის გრაფტენ-გელერიში როჯერ ფრაი ხსნის თანამედროვე ფრანგული ფერწერის გამოფენას, სადაც მანე და პოსტიმპრესიონისტები იყვნენ გამოფენილნი.*

- დაიწყო მეტაფიზიკური ფაზა კუბიზმის განვითარების ისტორიაში.
- გერმანიის ქალაქ მიუნჰენში ჩატარდა ისლამური ხელოვნების გამოფენა.

### ფერწერა

- *პაბლო პიკასო.* ამბრუაზ ვოლარის პორტრეტი.
- *ანრი რუსო.* სიზმარი.
- *კაზიმირ მალევიჩი.* ხის მჭრელი.
- *ანრი მატისი.* ცეკვა II.
- *ფერნან ლეჟე.* შიშველი ფიგურები ტყეში.

### ქანდაკება

- *ანრი მატისი.* ჟანეტა III.

### მუსიკა

- *იგორ სტრავინსკი.* ბალეტი „ჟარ-პტიცა“ (ზღაპრული ფრინველი).
- *ჯაკომო პუჩინი.* გოგონა დასავლეთიდან (ოპერა).
- *ალექსანდრე სკრიაბინი.* პრომეთეოსი (სიმფონიური პოემა).
- *ალბან ბერგი.* სიმებიანი კვარტეტი.

8 წლის პიანისტი სოლომონი ლონდონში მართავს კონცერტს.

ლონდონში გაიხსნა ცნობილი თეატრი „პალეიდიუმი“.

### ლიტერატურა

- *ჰერბერტ უელსი.* ბატონი პოლის ისტორია.
- *შარლ პეგი.* მისტერია ჟანა დ,არკის მოწყალების შესახებ.
- *პოლ კლოდელი.* ხუთი დიდი ოდა.

### დრამა

- *ჯონ გოლზუორთი.* „ანგარიშსწორება“.

ჯერალდ დიუ მორიე ლონდონის უინდჰემის ხელმძღვანელი ხდება.

### რადიო

- აშშ-ში იწყებენ რადიოდეტალების კომპლექტების გაყიდვას.
- აშშ-ში ლ.დ. ფორესტი იწყებს რადიოტრანსლაციების მოწყობას „მეტროპოლიტენ ოპერა-ჰაუსიდან“, მათ შორის კარუზოს სპექტაკლებისა.

### ყოფაცხოვრება

- 19 მაისს ჰალეის კომეტა დაბრუნდა. ამასთან დაკავშირებით აშშ-ში დაიწყო ტაბლეტა „კომეტის“ გაყიდვა, რადგან შეიქმნა აზრი, რომ კომეტის მოახლეობა გამოიწვევდა შხამიანი ნივთიერებების გავრცელებას დედამიწის ატმოსფეროში.

### სპორტი

- საფრანგეთის თანხმობის შემდეგ იწყება ხუთი ერის კავშირის ჩემპიონატების გამართვა რაგბიში.
- ჯეკ ჯონსონი 15 რაუნდიან ბრძოლაში ინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მძიმეწონოსან პროფესიონალ მოკრივეთა შორის.

# აფორიზმების ანთოლოგია



310. ილუზიების ქონისათვის რეალობა გვსჯის.

**(ლეშეკ კუმორი)**

* * *

311. მე იდეალისტი ვარ ილუზიების გარეშე.

**(ჯონ კენედი)**

* * *

312. ეპოქა შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს, როცა მისი საფუძვლის შემქმნელ ილუზიებს ყავლი გასდის.

**(არტურ მილერი)**

* * *

313. უანგაროებს სჭირდებათ ილუზიები, ანგარებიანებს კი ფული, რათა ილუზიები იყიდონ.

**(ვოიცეხ ვორცეხი)**

* * *

314. ციური კოშკების შენახვა ძალიან ძვირი ჯდება დედამიწიდან.

**(ედუარდ ბულვერ-ლიტონი)**

* * *

315. წარმოსახვით სამყაროს საკმაოდ დიდი სარგებელი მოაქვს, როცა მასში ცხოვრებას სხვებს ვაიძულებთ.

**(ვესლავ ბრუძინსკი)**

* * *

316. ილუზიები, როგორც კბილები, ასაკთან ერთად გვეკარგება.

**(სიდნი სმიტი)**

* * *

317. მხოლოდ ახალი იმედგაცრუებანი გვაძლევენ საშუალებას, რომ ძველი ტკივილებისაგან თავი გადავირჩინოთ.

* * *

318. რაც არ უნდა დიდი გადასახდების გადახდა გვიხდებოდეს მშვენიერი ილუზიების ქონისათვის, ზარალის განცდა მაინც არ არის მტკივნეული.

**(მარია ებნერ-ეშენბახი)**

* * *

319. უკანასკნელი ილუზია არის ის, რომ შენ ცხოვრებაში ყველა ილუზიისაგან გათავისუფლდი.

**(მორის შაპლენი)**

* * *

320. ოცნება ყველაზე იაფი საშუალებაა სურვილის ასრულებისა.

**(ვესლავ ჩერმაკ-ნოვინა)**

ოცნება გონიერი ადამიანების მშობელია, თუ სულაც არ უშლის მას ხელს იმაში, რომ სულელების საყვარელიც იყოს...

321. როცა ცისარტყელაზე ოცნებობ, წვიმისათვისაც უნდა იყო მზად.

**(დოლი პარტონი)**

* * *

322. ოცნება შეიძლება იმაზედაც კი, რაზე ფიქრიც კატეგორიულად აკრძალულია.

**(გენადი მალკინი)**

* * *

323. თუ ოცნება გიყვარს, ნურაფერზე იტყვი მასში უარს.

**(ლეშეკ კუმორი)**

* * *

324. სუსტის ოცნება სინამდვილიდან გაქცევის საშუალებაა, ძლიერის ოცნება კი ქმნის სინამდვილეს.

**(იუზეფ ბესტერი)**

* * *

325. მეოცნებე კაცი ყველაზე უკეთ იცნობს სინამდვილეს, რადგან ხშირად უხდება მის ჯურღმულებში ჩავარდნა.

**(კაროლ იჟიკოვსკი)**

* * *

326. ოცნებისაგანაც შეიძლება მურაბის მოხარშვა, თუ ცოტაოდენ ხილსა და შაქარს მოვიპოვებთ.

**(სტანისლავ ეჟი ლეცი)**

* * *

327. ყოველი მამაკაცი ოცნებობს ქალზე, რომელიც ეყვარება და რომლის მოტყუებაც ადვილად შეეძლება.

**(ჟანა გოლონოგოვა)**

* * *

328. ოცნება მოგონებაა მომავალზე.

**(ვასლავ ჩერმაკ-ნოვინა)**

* * *

329. ოცნება პოეტური საშუალებაა საიმისოდ, რომ არაფერზე იფიქრო.

* * *

330. ყოველ მამაკაცს გააჩნია ოცნება, რომ იცხოვროს ქალის კმაყოფაზე.

* * *

331. ყოველი ქალი მეოცნებეა, თუმცა - რეალურობის გათვალისწინებით.

# სამუზეუმო ექსპონატი



1. შურისძიების სახესხვაობა თუნდაც სპორტში. 2. სუფთა და მოწესრიგებული ანუ? 3. ყველაზე მრისხანე პიროვნება მსოფლიო ისტორიაში. 4. ძმაკაცი, თანამეინახე ძველთბილისური გამოთქმით. 5. კინოფილმის ერთ-ერთი უშუალო შემქმნელი. 6. როსტევან მეფის ერთ-ერთი ეპითეტი.

### საფეხბურთო ჩანართი -1

7. 50-იანი წწ ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი და 70-80-იანი წლების არანაკლებ სახელოვანი მწვრთნელი. 8. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტული საზოგადიება საბჭოთა კავშირში.

9. ორი სტიქიის - წყლისა და მიწის - თანხვედრის შედეგად მიღებული მასის ერთ-ერთი სახელი. 10. რა გვარია ჩვენი პატივცემული დუტა? 11. დანაშაულჩადენილივით გაჩუმებული და გაყურსული ანუ როგორი? 12. ფერწერის მეორე სახელი. 13. ჰაერში მცირე ხნით ყოფნის შედეგად გადაადგილების აღმნიშვნელი ერთ-ერთი სიტყვა. 14. ნაყოფი ხისა, რომელსაც ვერცხლისფერი ფოთლები აქვს. 15. ადამიანი, რომელიც ლაპარაკით ირჩენს თავს. 16. ოდრი ჰეპბერნის პარტნიორი ფილმში „როგორ მოვიპაროთ მილიონი“. 17. ქიმიური ელემენტიც და სამკურნალო დაწესებულებაც ძველ საქართველოში. 18. შეხტომის სახესხვობა საბალეტო ხელოვნებაში. 19. ჰომეროსისეული ოდისევსის მოსახსენიებელი პარალელური სიტყვა რიგ ევროპულ ენებში, არსებობს ამავე სახელის რომანი ჯეიმზ ჯოისისა. 20. XIX-XX საუკუნეების ზღვარზე მოღვაწე ფრანგი პოეტი, გიიომ.... 21. წამლებთან საქმის მქონე ადამიანის ერთ-ერთი სახელი.

### საფეხბურთო ჩანართი - 2

22. (.......) ბატონი ჟორდანია, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ამაგდარი მწვრთნელი. 23. რა მოსდევს „სკუადრას“, როცა საქმე იტალიურ ფეხბურთს ეხება? 24. (შევამოწმოთ თქვენი მეხსიერება) უკანასკნელი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბჭოელი მსაჯი (არაერთხელ უმსაჯია თბილისშიაც). 25. რა არის ფინტი თავისი არსით?

26. ამ კაცის ნამდვილი გვარი ფაინციმერი ყოფილა, ფართო საზოგადოებისათვის კი წმინდაწყლის ქართული გვარითაა ცნობილი, მან გადაიღო ფილმები “**Крах инженера Гарина**”, “**Соломенная шляпка**”, ”**Небесные ласточки**” და სხვა... გაიხსენეთ მისი ქართული გვარი. 27. ნამდვილი გვარი პიროვნებისა, ვის კალამსაც ეკუთვნის რომანები - „მიმქრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“ და სხვა. 28. საქართველოს ისტორიული მხარე. 29. პოლიციის მოხელე მეფის რუსეთში, რომელსაც ესა თუ ის უბანი თუ მაზრა ებარა. 30. ინერტული მასა. 31. XX საუკუნის რუსი მწერალი, დანიილ... 32. პიროვნება, რომელიც, მოარული ჭორების თანახმად, თბილისის ოპერის თეატრში შალიაპინს არჩიეს. 33. საგანთა კრებული, რომელიც ერთ დროს თურმე „ვეფხისტყაოსანსაც“ შეიცავდა. 34. ქალაქი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. 35. რა ერქვა ბატონ ფრანგიშვილს, ცნობილ ქართველ აკადემიკოსს? 36. ერთი სახელის მქონე სოფლები ახმეტისა და ყვარლის რაიონებში. 37. ქალაქი კანადაში. 38. ეს ორიგინალში, სპარსულ ენაზე „სამზარეულოს“ ნიშნავს... ძველ თბილისში ცოტა სხვა დატვირთვა ჰქონდა... იოსებ გრიშაშვილმა კი თავის ლექსის ერთ სათაურშიც მოიხსენია... რა სიტყვა იგულისხმება? 39. საერთო სახელი სიმებიან-„იმიანი“ მუსიკალური ინსტრუმენტებისა ძველად. 40. მინარეთიდან მაჰმადიანთა ლოცვისაკენ მომხმობი სუბიექტი (ახლა ის მაგნიტოფონმა შეცვალა).

## ფანტაზიის [illegible]

### ეთამაშეთ ერთმანეთს და განსაკუთრებით მათ, ვინც არ იცნობს ან არ სცნობს „ფანტაზიას“ და თამამად დაუპირისპირდით ხალხს

### პირველი რაუნდი

1. რომელ ოკეანეში მდებარეობს ანტიპოდების კუნძულები?

2. რომელ ქვეყანაში მდებარეობს მდინარეები სეიჰანი და ჯეიჰანი?

3. რომელმა ქართველმა დრამატურგმა დაწერა პიესები „მზის დაბნელება საქართველოში“ და „მე მინდა კნეინა გავხდე“?

4. ცის რომელ ნახევარსფეროში მდებარეობს თანავარსკვლავედი ტუკანი?

5. რა არის ნივთიერების რაოდენობის ერთეული SI სისტემაში?

### მეორე რაუნდი

6. რომელ ქვეყანაში მდებარეობს ქალაქი ბლიდა?

7. რომელი ფრანგი მწერალია ავტორი რომანისა „პინგვინთა კუნძული“?

8. რომელი კომპანიის დამაარსებელია ჯორჯ ისტმენი?

9. რომელ კუნძულზე მდებარეობს ვულკანი ჰეკლა.

10. რომელი ქალაქი მიიჩნევა დონ-ჟუანის მშობლიურ ქალაქად?

### მესამე რაუნდი

11. რომელ ქალაქში დაამყარა ბობ ბიმონმა რეკორდი სიგრძეზე ხტომაში - 8 მ და 90 სმ?

12. ვისი როლი განასახიერეს ბოლოდროინდელ ჰოლივუდურ ბლოკბასტერში კემერონ დიასმა, დრიუ ბერიმორმა და ლუსი ლიუმ?

13. რომელი ესპანელი მოაზროვნე და მკურნალი დაწვეს ცეცხლზე ჟენევაში 1553 წელს?

14. სადაური იყო წარმოშობით ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი კოპა?

15. ფედერიკო ფელინის რომელი ფილმის პერსონაჟები არიან ძამპანო და ჯელსომინა?

### მეოთხე რაუნდი

16. რა ჰქვია მითოლოგიაში ზღვის ნიმფა თეტიდას ვაჟიშვილს?

17. რომელ ქალაქში დაიბადა ელდარ რიაზანოვი?

18. ვინ არის უზარმაზარი ფერწერული ტილო „გერნიკას“ შემქმნელი?

19. როგორ გამოითქმის ლათინურ ენაზე „ქვიშა“?

20. აშშ-ს რომელ პრეზიდენტს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში 1906 წელს?

### მეხუთე რაუნდი

21. რომელ ქალაქში დაიბადა იოსებ გრიშაშვილი?

22. რა ერქვა ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასულს, რომელიც შემდგომში დავით აღმაშენებლის ოფიციალური მეუღლე გახდა?

23. აშშ-ს რომელი შტატის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მონტპილიერი?

24. რომელმა ჭოკით მხტომელმა გადალახა 6 მეტრიანი ბარიერი პირველად მძლეოსნობის ისტორიაში?

25. რა ეწოდებოდა პოლონეთის სამეფოს XVII საუკუნეში?

*ამ კითხვების პასუხებს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ. მეცხრე გვერდზე კი არის კითხვები, რომლების პასუხებს ამავე ნომერში ვბეჭდავთ.*

*რუბრიკას უძღვება ვახტანგ ელერდაშვილი*

# ფანტაზიონი

**აღვადგენთ ყველასათვის ნაცნობ რუბრიკას და იმედს გამოვთქვამთ, რომ კვლავაც მიიპყრობს ის თქვენს ყურადღებას.**




### კითხვა №1

ცნობილია, რომ ჯორჯ გორდონ ბაირონის ქალიშვილი ადა ლაველეისი გამოჩენილი მათემატიკოსი იყო. ინგლისის ისტორიაში არსებობს შებრუნებული ფაქტიც, როდესაც სახელგანთქმული მათემატიკოსის ქალიშვილი ცნობილი მწერალი გახლდა და ამავე დროს სხვა გვარით...

**რომელი რომანით გაითქვა თავი ლიტერატურულ ასპარეზზე ხსენებული მათემატიკოსის ხსენებულმა ქალიშვილმა?**

* * *

### კითხვა №2

დაასრულეთ იტალიური ანდაზა: „არ გაეკიდო არასოდეს არც ტრამვაის და არც ქალს. აუცილებლად...“

* * *

### კითხვა №3

ნიზამი განჯელის პოემაში „ხოსროვი და შირინი“, როდესაც ავტორი იწყებს შირინის სილამაზის აღწერას, ვხვდებით ასეთ სიტყვებს:

„ხურმის საკრეფად ორი ზანგი ხეზე ასული“...

**რის სიმბოლიზირებას ახდენენ ხსენებული „ზანგები“ ნიზამის ამ სიტყვებში?**

* * *

### კითხვა №4

ცნობილმა უკრაინელმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა მწვრთნელები კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხშირად დადიოდნენ ქალაქ უჟგოროდში, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ქალაქს არასოდეს არ ჰყოლია ძლიერი საფეხბურთო გუნდი, რაც ხსენებული მწვრთნელების დაინტერესების საგანი შეიძლება ყოფილიყო...

**მაშ, რითი იმაღლებდნენ მწვრთნელები მაინცა და მაინც უჟგოროდში კვალიფიკაციას?**

* * *

### კითხვა №5

ერთხელ ბაიკალის ტბაზე ასეთი კურიოზი მოხდა: უცხოელი ტურისტების ჯგუფმა დაიქირავა კატერი რათა უფრო უკეთ გასცნობოდა ბაიკალის ტბის გარშემო არსებულ ღირსშესანიშნაობებს. როდესაც, ნაპირი თვალს მიეფარა ერთ-ერთი ტურისტთაგანი მიუბრუნდა კაპიტანს და შეეკითხა, თუ რამდენი ხანი გასტანს ჩვენი მოგზაურობაო? კაპიტანმა მიუგო, რომ დაახლოებით ასე - ერთ კვირასო. რაზეც ტურისტმა შემხვედრი კითხვით უპასუხა, - კი მარა *ეს* გვეყოფაო? რის შემდეგაც კაპიტანმა ირონიანარევი ტონით უპასუხა ერთი კვირაც გვეყოფა და ერთი წელიცო...

**მაშ რისი ყოფნა არ ყოფნის საკითხით დაინტერესდა უმეცარი ტურისტი?**

* * *

### კითხვა №6

კოკო შანელი ამბობდა: „ოცი წლის ასაკამდე თქვენ გაქვთ სახე, რომელიც თქვენ ღმერთმა გიბოძათ, ოცდაათი წლის შემდეგ თქვენ გაქვთ სახე, რომელსაც თქვენ თვითონ ქმნით, ხოლო ორმოცდაათი წლის შემდეგ თქვენ გაქვთ სახე, რომელსაც...“

**რა?**

* * *

### კითხვა №7

პროფესორ ჰენრი ჯოუნსს ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელიც ასევე ჰენრი ჯოუნსად იწოდებოდა. მამა მას ჰენრი უმცროსს ეძახდა, რაც „უმცროს“ ჰენრის არც თუ ისე ეხატებოდა გულზე და არჩევდა მეტსახელს, რომელიც მან საკუთარი ძაღლისაგან ისესხა.

**მაშ, რა ერქვა ჰენრი ჯოუნს უმცროსის ძაღლს, თუ ძაღლის სახელი უშუალო კავშირშია აშშ-ს გეოგრაფიასთან?**

* * *

კითხვა № 8

იაპონიაში ასეთი გასაოცარი ფაქტია შემონახული გო-ს ჩემპიონატების ისტორიიდან:

მავან ჰასიმოტოსა და მავან ივამოტოს შორის ერთხელ გაიმართა ჰონინბოს ტიტულისათვის მატჩი გო-ში. (ჰონინბო - იაპონიაში უძლიერესი მოთამაშის ტიტულია გო-ში). თუმცა მატჩის მეორე პარტიის 104-ე და 105-ე სვლებს შორის მოხდა გაუთვალისწინებელი ინციდენტი, რომელმაც დროებით თამაშის შეწყვეტა და დარბაზში ქაოსი გამოიწვია. წესრიგის დამყარების შემდეგ პარტია გაგრძელდა, თუმცა დარბაზში საგრძნობლად აცივდა...

**რომელი ყველასათვის ცნობილი მოვლენის გამო შეწყდა მატჩი?**

* * *

### კითხვა №9

რუსებს ამ ნიშნით გამორჩეული მხოლოდ ორი რიცხვი აქვთ - 3 და 11. ფრანგებს ასეთი რიცხვი არ გააჩნიათ, ინგლისელებს და ქართველებს კი აღმოჩნდა რომ ასეთი მხოლოდ ერთი რიცხვი აქვთ და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს, ინგლისელების რიცხვი და ჩვენი რიცხვი ერთი და იგივე რიცხვს წარმოადგენს...

**მაშ, რომელი ამ ნიშნით გამორჩეული რიცხვი გვაქვს ჩვენ ინგლისელებთან საზიარო?**

* * *

### კითხვა №10

გარკვეული კატეგორიის ადამიანები იცნობენ ინდურს (სამ ვარიანტში), ინგლისურს (ორ ვარიანტში), იტალიურს, ფრანგულს, ესპანური რუსულს, ჰოლანდიურს, უნგრულს და ლატვიურს (ყველას თითო-თითო ვარიანტში). მსგავსი რამ, მაგალითად, არ არსებობს გერმანული, ამერიკული, შვედური, ქართული, ბელგიური და ჩინური. აღსანიშნავია, ისიც რომ ეს ადამიანები იტალიურს და ავსტრიულს ნაწილობრივ იცნობენ...

**მაშ, იტალიის რომელი ნაწილით იცნობენ ისინი იტალიურს და ავსტრიის რომელი ნაწილით ავსტრიულს?**

* * *

### კითხვა №11

როდესაც თანამედროვე რუს მწერალს მიხეილ ველერს დაუსვეს შეკითხვა, თუ რამდენი დაწერა მან ცხოვრების მანძილზე, მან შეხედა საკუთარი წიგნებით სავსე თაროს და უპასუხა: „ორმოცდახუთი...“

**რა?**

* * *

### კითხვა №12

თანამედროვე ინგლისელი მეცნიერების აზრით, *ეს* ანელებს მოზარდებში მოწევის გავრცელებას. *ეს* თავისი არსით წარმოადგენს ზრდასრული ადამიანის ცხოვრების ატრიბუტს და ამიტომაც, *ამით* სარგებლობის დროს მოზარდის ავტორიტეტი და მნიშვნელობა ერთი ორად იზრდება მის თანატოლებში, რის გამოც, თვლიან ხსენებული მეცნიერები, სკოლის მოსწავლეებს არ სჭირდებათ სიგარეტით ე.წ. „მარიაჟობა“...

**მაშ, რა „ატრიბუტზეა“ აქ საუბარი?**

* * *

პასუხებს მომავალ ნომერში დავბეჭდავთ. თუ სურვილი გაგიჩნდათ, დაგვირეკეთ შაბათს, 25 იანვარს, საღამოს ექვსი საათის შემდეგ და ვისაუბროთ.



მოცემულია არითმეტიკული თავსატეხი, სადაც ციფრები შეცვლილია სამაგიდო ჭურჭლის ატრიბუტიკით. ჩაიდანი, კოვზი, ჩანგალი, დანა, სამაქრე და თეფში განსხვავებულ ციფრებს ცვლიან. რომელი ციფრი რას შეესაბამება?



**თარაზულად:**

1. ნიავის ზემოქმედებით ბალახის ტალღისებური რხევა. 4. წყალბურთის შედარებით მცირედ გავრცელებული სახელწოდება ჩვენში. 7. ის, რისი გულისათვისაც ექიშპებიან ერთმანეთს ჩინოვნიკები. 13. თითის სიგრძე ბიჭი ერთ მეტად ცნობილ ზღაპარში. 14. მცენარეების ზედაპირზე დილაობით გაჩენილი წყლის წვეთები. 15. ანგელოზი, რომელმაც მუჰამედს ყურანის ტექსტი უკარნახა ისლამში. 18. რაიმე მუსიკალური ნაწარმოების წამყვანი და განმეორებადი თემა. 19. სოლომონის კუნძულების უდიდესი კუნძული. 22. სხვისი შვილი, ანუ ვინ? 23. გაურჯელად ნაშოვნი სარჩოს მოსახსენიებელი სიტყვა. 24. რომელი ციური ობიექტია დაკავშირებული ორშაბათის დასახელებასთან ევროპულ ენებში? 27. ქირაფისებრი ძუძუმწოვარი ცხოველი. 28. რუსი პოეტი, რომლის სიმამრიც თავად დიმიტრი მენდელეევი გახლდათ. 29. გამხდარი გოგონების მოსახსენიებელი სიტყვა. 30. მხოლოდ დილით საჭმელი ჩვენებური კერძი. 35. ჯიშის და ჯილაგის აღმნიშვნელი განზოგადებული ცნება. 36. სულელი ადამიანის თავის მოსახსენიებელი ეპითეტი ბალჩიდან. 37. ელექტრული დენის მაგნიტური მოქმედების აღმომჩენი დანიელი ფიზიკოსი, ჰანს ქრისტიან... 42. ყველაზე კოლორიტული ესპანელი ფეხბურთელი დღევანდელ ფეხბურთში. 43. არიგო ბოიტოს ოპერაც და „ფაუსტის“ პერსონაჟიც. 44. უძველესი სახელმწიფო ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, რომლის დედაქალაქიც ტუშპა გახლდათ.47. სარკინიგზო მატარებლის გამცილებელი მუშაკი. 48. ძველი ათენელი მხედართავარი, რომელსაც პლატონმა დიალოგი მიუძღვნა პლუტარქემ კი ბიოგრაფია. 51. შინაური ცხოველის ნაშიერი. 52. მკვდარი ცხოველის ხრწნადი სხეული. 53. ქალაქი იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იტალია-სლოვენიის საზღვართან. 54. ძაფის სართავი პრიმიტიული მანქანა. 58. დიდი ბრიტანეთის პოეტური სახელწოდება. 59. დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი. 60. რა ეწოდება ერბოში მოშუშულ ფქვილს, რომელსაც ხევსურები ქადის გულის დასამზადებლად ხმარობენ? 64. პარასკევას როლის შემსრულებელი ჩვენი თანამემამულე საბჭოურ კინემატოგრაფში. 65. ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე. 69. „ეს არის მეცნიერება, სადაც ჩვენ არ ვიცით რაზე ვლაპარაკობთ და არ ვიცით ჭეშმარიტია თუ არა ის, რასაც ვლაპარაკობთ“ - რა მეცნიერება ჰქონდა მხედველობაში ბერტრან რასელს? 70. თითბრის როდინი. 73. ლიმონას „გულის“ მკურნალი ექიმი. 74. წერილი შთამომავლობას. 75. სოფელი ლანჩხუთის რაიონში. 76. მილა იოვოვიჩის კინოპერსონაჟი ლუკ ბესონის ფილმში „მეხუთე ელემენტი“. 80. გაჩეჩილი მატყლის ხელისგულისოდენა ნაწილი. 81. რა არსებობდა „შოკოლადის“ ამ რამოდენიმე წლის წინათ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე? 82. მარწყვის, ქოლოსა და მაყვლის საერთო სახელწოდება. 86. ირანის მმართველი და სულიერი მამა 1979-1989 წლებში. 87. სოსოს როლის შემსრულებელი ელდარ შენგელაიას ფილმში „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. 91. (კიდევ ერთი) სოფელი ლანჩხუთის რაიონში. 92. თვე, რომელშიც ტანზანიელები და კენიელები ეროვნულ დღესასწაულს ზეიმობენ. 93. ფრანგულად - **la poche**, ინგლისურად - **Pocket**, ქართულად - ? 94. გერმანიის ნაკრების ახლანდელი ფეხბურთელი, ერთობ არაგერმანული იერითა და გვარით. 95. ბ.აკუნინის, ანუ იგივე გრიგორი ჩხარტიშვილის მიერ შექმნილი დეტექტივი ქალბატონი, მისი რამოდენიმე რომანის მთავარი პერსონაჟი. 96. სოფელი ქარელის რაიონში, მდინარე ძამის მარჯვენა ნაპირას.

**შვეულად:**

1. სოფელი დუშეთის რაიონში, პირაქეთა ხევსურეთში. 2. თურქ-სელჯუკთა უზარმაზარი იმპერიის სულთანი დავით აღმაშენებლის ზეობის ხანაში. 3. პლატონის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დიალოგი. 5. ტანისამოსის შესაკრავი საშუალებაც და ატმოსფერული მოვლენაც. 6. ხმლის სატარებელი ქამარი წარსულის მეომრის აღჭურვილობაში. 8. სოფელი გორის რაიონში. 9. ცისკარას სატრფო ჩვენს საბავშვო ფილმში. 10. ჰიგიენური დანიშნულების დანადგარი. 11. მრუშობის რუსთველისეული სინონიმი. 12. საფოსტო მარკების შეგროვება, ანუ რა? 16. ტანჯულისა და ნაცემის კიდევ ერთი სინონიმი გაიხსენეთ. 17. ფრანგი პოეტი-სიმბოლისტი, პოლ... 20. რა ჰქვია შერლოკ ჰოლმსის ძმას არტურ კონან-დოილის შემოქმედებაში? 21. გამხდარი და ტანწვრილი ადამიანის მოსახსენიებელი ეპითეტი. 25. მსუბუქი გერმანული ავტომობილი. 26. საქართველოს ერთ-ერთი მხარე. 31. ფრანგული „პორტიეს“ ქართული შესატყვისი. 32. სისხლისაღრევა, ანუ რა? 33. რაიმე საქმიანობის მიმართულება და ძირითადი მახასიათებელი თვისება. 34. პლანეტა მერკურის ძველქართული სახელწოდება. 38. როგორი შეიძლება იყოს დაავადება? 39. ცნობილი ქართველი არქეოლოგი. 40. ლეგენდარული კალათბურთელის, ქარიმ-აბდულ ჯაბარის ნამდვილი გვარი. 41. საჭმლის კერძების მომზადების ხელოვნება. 45. ნეოიმპრესიონიზმის ერთ-ერთი მიმართულება ფერწერაში. 46. დასავლეთ საქართველოს უდიდესი მდინარე. 49. ქალაქი სამხრეთ რუმინეთში. 50. რიგით 19-ე ნომერი ქიმიური ელემენტი მენდელეევის პერიოდულ სისტემაში. 55. ერთ-ერთი მუსიკალური ტემპთაგანი. 56. ადამიანის ბოლო განსასვენებელი. 57. დავით აღმაშენებლის პაპის სახელი გაიხსენეთ. 61. ავსტრალიის სამხრეთით მდებარე კუნძულის ნათლია ნიდერლანდელი ზღვაოსანი. 62. ძვ. რომის იმპერატორი 284-305 წლებში, რომელმაც ზეობის ხანაში უარი თქვა იმპერატორის ტახტზე და ქალაქგარეთ განმარტოვდა. 63. სოფელი სიღნაღის რაიონში. 66. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი. 67. რა ეწოდება რაიმე ნაწარმოების გადაკეთების პროცესს, ამ ნაწარმოების სცენაზე დადგმის მიზნით? 68. ვინ იყო ტოიოტომი ჰიდეიოშის დამორჩილებული თითოეული პირი იაპონიის ისტორიაში? 71. რა სიტყვა მოსდევს „სკუადრას“ იტალიურ ფეხბურთში? 72. მიჩიგანის ტბისპირა აშშ-ს შტატი. 77. ქვეყანა, რომელშიც იმოგზაურა ვოლტერისეულმა კანდიდმა და რომელიც ვერ აღმოაჩინეს ესპანელმა კონკისტადორებმა. 78. ჩვენში ერთ დროს ცნობილი ფრანგული ფილმი ფილიპ ნუარეს მონაწილეობით. 79. ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი. 83. რა სიტყვა უკავშირდება ვინმე პულიტცერის გვარს აშშ-ში? 84. ჭურჭლის ფორმისებულად მოხრილი ხელის მტევანი. 85. რა ჰქვია გრაფ დე პეირაკს ან და სერჟ გოლონების რომანებში. 88. ინგლისურად - **Siege**, რუსულად - **Осада**, ქართულად - ? 89. რა ჰქვია გვადი ბიგვას თხას ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში? 90. კატა ტომის ნერვების მომწამვლელი თაგვის სახელი გაიხსენეთ.

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | 28 | 3 | 11 | 27 | 3 | 21 | 5 | |
| 30 | | 16 | | 3 | | 19 | | | | 3 | | 11 | | 10 |
| 32 | 6 | 11 | 5 | 23 | 3 | 22 | 5 | | 3 | 4 | 5 | 16 | 23 | 5 |
| 28 | | 5 | | 15 | | 3 | | 30 | | 3 | | 12 | | 8 |
| 16 | | | 31 | 3 | 11 | 17 | 30 | 7 | 3 | | 25 | 30 | 33 | 5 |
| 11 | | 3 | | 6 | | 3 | | 11 | | 17 | | 14 | | 3 |
| 12 | 6 | 7 | 3 | | 3 | 28 | 7 | 3 | 23 | 3 | 7 | 12 | 5 | |
| 5 | | 12 | | 7 | | 22 | | 29 | | 16 | | 16 | | 21 |
| | 21 | 16 | 4 | 5 | 23 | 30 | 29 | 5 | 3 | | 3 | 11 | 24 | 5 |
| 9 | | 22 | | 15 | | 23 | | 3 | | 20 | | 5 | | 18 |
| 3 | 4 | 3 | 7 | 30 | 11 | 15 | 5 | | 19 | 3 | 16 | | | 30 |
| 11 | | 12 | | 16 | | 5 | | 26 | | 7 | | 25 | | 11 |
| 13 | 11 | 5 | 3 | | 3 | 4 | 15 | 30 | 10 | 3 | 11 | 3 | 23 | 5 |
| 5 | | 28 | | | | 5 | | 11 | | 23 | | 20 | | 3 |
| | 18 | 3 | 11 | 18 | 5 | | 20 | 16 | 11 | 3 | 18 | 5 | 16 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | მ | | ღ | 2 |
| ბ | | ნ | | ყ | |
| გ | | ო | | შ | |
| დ | | პ | | ჩ | |
| ე | | ჟ | 1 | ც | |
| ვ | | რ | | ძ | |
| ზ | | ს | | წ | |
| თ | | ტ | | ჭ | |
| ი | 5 | უ | | ხ | |
| კ | | | | ჯ | |
| ლ | 4 | ქ | | ჰ | |

IQ

ქვემოთ მოცემულია თავსატეხები, რომლებიც დაკვირვების უნარს და კანონზომიერების დადგენას მოითხოვს. მსგავსი თავსატეხები გვხვდება IF-ტესტებს და ჰანს იურგენ აიზენკის მიერ შემუშავებულ ტესტებში რომლების ავტორები კი ამ გზით ადამიანების მიხვედრილობის უნარს ამოწმებენ დასავლეთ სამყაროში. შეეცადეთ შეამოწმოთ თქვენც თქვენი მიხვედრილობის დონე! *(პასუხები მე-14 გვერდზეა)*

## ყველაზე ადვილი




## პირველი სირთულე




## მეორე სირთულე




## მესამე სირთულე




## მეოთხე სირთულე




## ყველაზე ძნელი




## 30 30

Column clues (left to right, top to bottom):
1: 1
2: 1
3: 1 1
4: 1
5: 3 1 4
6: 8 7
7: 9 9
8: 6 3 10
9: 5 1 8
10: 4 2 6
11: 5 11
12: 2 13 1
13: 1 2 5 3 7
14: 1 2 3 2 1 1 2 2
15: 1 1 3 1 1 2 2 2
16: 1 2 3 1 1 2 2
17: 1 2 5 3 7
18: 2 13 1
19: 5 11
20: 4 2 6
21: 4 1 9
22: 6 3 10
23: 10 9
24: 9 7
25: 3 1 3
26: 1
27: 1 1
28: 1
29: 1
30: 1

Row clues (top to bottom):
1: 5
2: 2 2
3: 4 4
4: 4 5 5
5: 5 2 2 6
6: 7 7
7: 5 2 2 4
8: 4 7 4
9: 4 7 4
10: 2 7 2
11: 3 2 2 3
12: 7 1 2 1 7
13: 1 3 3 1 3 3 1
14: 2 2
15: 5 5
16: 15
17: 7 7
18: 6 3 6
19: 6 1 1 1 6
20: 6 2 2 6
21: 4 1 5 1 4
22: 5 1 1 1 1 1 4
23: 4 1 2 2 1 5
24: 4 7 4
25: 3 4 1 1 1 4 4





## ნაცნობი უცნობები





**შეეცადეთ დაადგინოთ მარცხნივ მოთავსებლი ადამიანების ვინაობა. დარწმუნებულნი ვართ, რომ მათ სადღაც ოდესღაც შეხვედრიხართ.**

* * *

გასულ ნომერში მე-8 გვერდის ორ ფოტოგამოცანაზე წარმოდგენილნი იყვნენ:

მარცხენა ნახატზე ქვანეცკი (მარცხნივ) და კალიაგინი.

მარჯვენა ნახატზე: სახე - კობზონის, თვალები - კარცევის.

* * *

მეცხრე გვერდის ექვსი პერსონაჟი (მარცხნიდან მარჯვნივ): აზიზა (უზბეკი მომღერალი), ანატოლი ბიშოვეცი (ფეხბურთელი), ნიკოლოზ სვანიძე (ტელეჟურნალისტი), ვალენტინა ტელეჩკინა (გლაშა), გია ყანჩელი, ჯორჯ კლუნი.

# ფანტაზიის ტურნირი

**ეთამაშეთ ერთმანეთს და განსაკუთრებით მათ, ვინც არ იცნობს ან არ სცნობს „ფანტაზიას“ და თამამად დაუპირისპირდით ხალხს**

## პირველი რაუნდი

1. რომელი ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტია მოშე კაცავი?
2. რამდენი სონეტი აქვს დაწერილი უილიამ შექსპირს?
3. რა ეწოდება საშუალო ხმას სამხმიან სიმღერაში?
4. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „მამა რომა“?
5. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „**Три тополя на плющихе**“?

## მეორე რაუნდი

6. რა ეწოდება ფილმ „კრავთა დუმილის“ სიქველს (გაგრძელებას)?
7. რომელი ლიტერატურული პერსონაჟი ჯადოქარი განასახიერა ფილმში დენიელ რედკლიფმა?
8. რომელია ხაკასეთის დედაქალაქი?
9. მცირე აზიის რომელი ქალაქია კასრში მჯდომი დიოგენეს მშობლიური ქალაქი?
10. ჯუზეპე ვერდის რომელი ოპერის პერსონაჟები არიან სპარაფუჩილე და ჯილდა?

## მესამე რაუნდი

11. სადაური ავტომობილია „ნისანი“?
12. რომელი უცნობილესი სიმღერა შექმნა 17 წლის მექსიკელმა გოგონამ კონსუელო ველასკესმა 1941 წელს?
13. რომელი ქალაქის საერთაშორისო აეროპორტებია ჰანედა და ნარიტა?
14. ვინ არის ავტორი რომანებისა „ვარდის სახელი“ და „ფუკოს ქანქარა“?
15. ვინ იყო იაპონიის პრემიერ-მინისტრი 1982-1987 წლებში?

## მეოთხე რაუნდი

16. როგორ გამოითქმის „ბედნიერება“ ლიტვურ ენაზე?
17. რომელი ნარკოტიკული საშუალების ვრცელი სახელწოდებაა „ლისერგიული მჟავის დიეთალამიდი“?
18. რომელი კუნძულის მეორე სახელწოდებაა „ფორმოზა“?
19. რომელი ქალაქია კირსან ილუმჟინოვის შტაბ-ბინა?
20. ვინ არის ოპერა „ბაში-აჩუკის“ ავტორი?

## მეხუთე რაუნდი

21. ადამიანის რომელი ორგანოს შემადგენელი ნაწილებია გრდემლი, ურო და უნაგირი?
22. რა ეწოდება ხორციან კორკოტს?
23. როგორ გამოითქმის ფრანგულად „თავის გასატეხი“?
24. ძუძუმწოვრების რომელი ოჯახის წარმომადგენელია „უდაბნოს მელიად“ წოდებული ცხოველი ფენეკი?
25. რამდენი ვარსკვლავია აშშ-ს დროშაზე?

*(პასუხები მე-14 გვერდზეა)*

**გასული ნომრის კითხვები**

**მე-4 გვერდი.** 1. სელმა ლაგერლოფი, 1909 წ. 2. მეწისქვილე. 3. ბატები და იხვები. 4. გ. შავგულიძე. 5. ანესთეზიოლოგს. 6. შვაინერ ჰენრი დიუნანი. 7. გალილეო გალილეიმ. 8. ვიქტორ ჰიუგოს „მეფე ერთობა“. 9. გოეთე. 10. გიორგი ავალიშვილმა.

**მე-9 გვერდი.** 1. მარიო ლანცამ. 2. მიხეილ კალატოზიშვილმა. 3. „საკარნავალო ღამე“. 4. 16 მმ - სამოყვარულო, 35 მმ - პროფესიონალური. 5. ფრენკ სინატრა. 6. ადელინა. 7. „ყელსაბამი“ ფილმიდან „ბედნიერი შეხვედრა“. 8. „ფორსაიტების საგა“. 9. მელ გიბსონი. 10. ერიკ რობერტსი.

**მე-16 გვერდი.** 1. კალე ბრუნკვისტი. 2. დელაკრუა. 3. ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი. 4. XIX საუკუნეში. 5. „აიდა“. 6. მარია სკლოდოვსკაია-კიური. 7. რუალ ამუნდსენი.

# 2+2=5!

მოცემულ რიცხვებს შორის განათავსეთ გაყოფის, გამრავლების, მიმატების ან გამოკლების ნიშნები, ისე რომ ტოლობა სამართლიანი იყოს.

შესაძლებელია რიცხვების ერთად დაჯგუფება (მაგალითად: 12 + 34 ან 123 - 4);

დასაშვებია ფრჩხილების ხმარებაც (მაგალითად: 12 : (3+4)+5).

მაშ, მოძებნეთ ერთი და იმავე რიცხვებით ჩატარებული მათემატიკური ოპერაციების ცხრა სხვადასხვა ვარიანტი (შეიძლება იყოს მეტიც).

გისურვებთ წარმატებებს!

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | = | 100 |

## *ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი*

ერთ ქვეყანაში არის ორი ქალაქი. ერთში ცხოვრობენ ისინი, ვინც სულ იტყუება, მეორეში კი ისინი, რომლებიც მუდამ მართალს ლაპარაკობენ. ამ ქალაქების მკვიდრნი ხშირად დადიან ერთმანეთთან სტუმრად, ასე რომ ყოველ მათგანში შეგიძლიათ შეხვდეთ როგორც ადგილობრივ მკვიდრს (ცრუს ან მართალს), ასევე სტუმარს (ცრუს ან მართალს).

ვთქვათ, თქვენ მოხვდით ერთ-ერთ ამ ქალაქთაგანში, მაგრამ არ იცით, რომელში ხართ - მატყაურებისაში თუ პატიოსნებისაში.

**როგორ შეიძლება ერთადერთი კითხვის დასმით და შესაბამისი პასუხის მიღებით დაადგინოთ, თუ რომელ ქალაქში იმყოფებით?**

* * *

გასული ნომრის ფსიქოლოგიური პრაქტიკუმის პასუხი: „მოვედი იმისათვის, რომ ჩამომახრჩოთ“.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | 2 | 1 | 3 | 2 | | | | | 4 | 3 | 1 | | | | | | | | | | |
| | | | | | | | 3 | 2 | 6 | 5 | 1 | 3 | | | | 5 | 4 | 6 | 6 | 4 | 2 | | | | | | | | |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 6 | 7 | 4 | 4 | 5 | 8 | 18 | 18 | 25 | 25 | 25 | 18 | 13 | 8 | 5 | 2 | 2 | 3 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| | 2 | 4 |
| | 2 | 6 |
| 2 | 1 | 5 |
| | 2 | 10 |
| 2 | 1 | 7 |
| | 3 | 9 |
| | 3 | 3 |
| | 4 | 7 |
| | 2 | 12 |
| | 3 | 12 |
| | | 16 |
| | 11 | 4 |
| | | 14 |
| | 2 | 9 |
| | | 7 |
| | | 11 |
| | | 11 |
| | | 11 |
| | | 11 |
| | | 12 |
| | 9 | 2 |
| | 9 | 3 |
| | 9 | 4 |
| | 7 | 7 |
| | 7 | 7 |



| რთული იტალიური კროსვორდი | ლევან ლელაშვილი | მკრთალი / საზ. სახე | ძალა ღონე არაქათი | ....იოს ელიანი / ძვ. ოსი | ვეუზე | გამხდარი / (......) მორიკონე | „სამი“ გერმანულად | (.....) მატიე | იალქანი | მწვანილი / ...და პეტროვი | მონობის უღელი | კოვბოების სპორტი | დიდი ალენი | საფრანგეთის სიმბოლო | „რეკორდის“ ცაავა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალიური საკვები | | | | | | | | | | | | | | | |
| გორგასალი | | | | | | | | | | | | | | | |
| ისლამის მარხვის თვე | | | | | | | | | | | | | | | |
| ...ვორობიანინოვი | | | | | | | | | | | | | | | |
| იხილე ფოტო სახელი / შიფრი | | | | | | | | | | | | | | | |
